



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფინანსები (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ავთანდილ გაგნიძე, <a href="mailto:agagnidze@ibsu.edu.ge">agagnidze@ibsu.edu.ge</a> ტ.597999554
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	დამატებითი (Minor)
კრედიტების რაოდენობა	60
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	-
დაშვების წინაპირობები	დამატებითი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (Minor) სტუდენტი შეიძლება გახდეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>ფინანსების დამატებითი საგანმანათლებლო (minor) პროგრამა მიზნად ისახავს დაინტერესებული სტუდენტების გათვითცნობიერებას ფინანსების საფუძვლებში, საბანკო საქმისა და დაზღვევის საფუძვლებში, კორპორაციული და საჯარო ფინანსების, ფულისა და საბანკო საქმის, საერთაშორისო ფინანსების, ფინანსური ინსტიტუტების, ფინანსური უწყისების ანალიზის, ინვესტიციებისა და პორტფელის მართვის, ფინანსური მათემატიკის, რისკის მართვისა და უძრავი ქონების შეფასების არსში.</p> <p>პროგრამის ძირითადი ამოცანაა სწავლების პროცესის ორგანიზება მისაღწევი შედეგების, სტუდენტთა ინტერესებისა და თანამედროვე ფინანსური გარემოს (საქართველოს საბანკო სისტემის, სადაზღვევო ბიზნესის, კაპიტალის ბაზრისა და საწარმოო პროფილის კორპორაციების) თავისებურებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>სწავლების პროცესში ყურადღება დაეთმობა კონკრეტულ პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებას, საფინანსო სექტორის საქმიანობისა და რეგულირების თავისებურებებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა გათვალისწინებით.</p> <p>აღნიშნული სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ თანამედროვე საფინანსო გარემოში ოპტიმალური საფინანსო გადაწყვეტილების მიღების უნარები, წარმატებით გადაჭრან მათი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე პრობლემები, განავითარონ და შემოქმედებითად გამოიყენონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ გაცნობიერებულია ზოგადად ფინანსური გარემოს, ბაზრებთან და ინსტიტუტებთან დაკავშირებულ თეორიებში, კონცეფციებში, ძირითად სტრატეგიებსა და პრინციპებში, ისევე როგორც კერძო ბიზნეს ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ ასპექტებში;</li> <li>✓ იცნობს უმნიშვნელოვანეს საბანკო, სადაზღვევო და კაპიტალის ბაზრის კატეგორიებს;</li> <li>✓ ფლობს სათანადო საერთაშორისო საფინანსო ტერმინოლოგიასა და ფინანსური მენეჯმენტის სფეროში მუშაობის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;</li> <li>✓ ინფორმირებულია როგორც გლობალური, ასევე ქვეყნის ფინანსური გარემოს (ბაზრები, ინსტიტუტები, ინსტრუმენტები, რეგულირების ძირითადი მიმართულებები და სხვა) შესახებ, მათ შორის კომერციული ბანკების საქმიანობის პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებში, დაზღვევის საფუძვლებში, კომპანიების შეფასების, კაპიტალის ბაზრის ორგანიზებისა და საქმიანობის პრინციპებში, საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდებში, რისკიანი და ურისკო აქტივებით ეფექტური პორტფელის შექმნის თავისებურებებში;</li> <li>✓ ფლობს აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების კონცეფციებსა და ტერმინოლოგიას, ფინანსური უწყისების შედგენის მეთოდებს; ასევე ინფორმირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესახებ;</li> <li>✓ გაცნობიერებულია უძრავი ქონების ინდუსტრიაში არსებული ცნებებისა და ტერმინოლოგიის ცოდნასა და უძრავი ქონების სექტორში ეკონომიკური ღირებულებების განსაზღვრის, საინვესტიციო თვისებებისა და ძირითადი რისკების გამოვლენისა და შეფასების ცოდნაში; იცნობს უძრავი ქონების ღირებულების დასადგენად შეფასების სხვადასხვა მეთოდებს; საფუძვლიანად ფლობს პირდაპირი კაპიტალიზაციის და დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდებს და იცის მათი პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა;</li> <li>✓ ფლობს სადაზღვევო ტერმინოლოგიას; გაცნობიერებული აქვს</li> </ul>
--------------------------------	--

**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>რისკის შეფასების და მართვის ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების განსხვავება და პრაქტიკაში მათი გამოყენების მეთოდების მნიშვნელობა; იცის თანამედროვე დაზღვევის პროგრამები და სახეობები; დაზღვევის ძირითადი სამართლებრივი პრინციპები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ სტუდენტს აქვს ფინანსური ანალიზის ძირეული ცოდნა, დაგეგმილი ფინანსური უწყისების შედგენის და ანალიზის ცოდნა, ფულის ბიჯეტირების და მდგრადი და შიდა განვითარების შესაძლებლობების ანალიზის განხორციელების ცოდნა და შესაბამისად კომპანიის ფინანსური საქმიანობის დაგეგმარების ცოდნა; ასევე დაგეგმილი ფინანსური უწყისების, მდგრადი და შიდა განვითარების ანალიზის და ფინანსური ანალიზის პრაქტიკული განხორციელება; ინფორმაციის და მონაცემების მოგროვების, სორტირების და ანალიზის უნარჩვევები, რათა განახორციელოს ფინსური ანტიკური და დაგეგმარებითი ანგარიშების მომზადება;</li> <li>✓ აქვს უნარი და ცოდნა კომუნიკაცია განახორციელოს ფინანსური ტერმინოლოგიის გამოყენებით, მიიღოს და მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია Excel-ის ცხრილების გამოყენებით ანალიზის, შეფასების და დაგეგმარების წარმოების მეშვეობით; ფინანსური სფეროს პროფესიონალებისათვის მიღებული ეთიკის და ღირებულებების ნორმების გაცნობიერება; ფინანსური ინფორმაციის გახსნილობის ღირებულების გაცნობიერება;</li> <li>✓ ფლობს ინვესტირებასთან და ეფექტურ პორტფელის შექმნასთან დაკავშირებული ცნებებისა და ტერმინოლოგიის ცოდნას; გაცნობიერებულნი არიან ზოგად საინვესტიციო თეორიებსა და პრინციპებში, ფინანსური ბაზრების საქმიანობის თავისებურებებსა და პორტფელის მართვის სტრატეგიებში;</li> <li>✓ ინფორმირებულია ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების საქმიანობისა და რეგულირების ძირითადი მიმართულებების შესახებ;</li> <li>✓ ინფორმირებულნი არიან ევროკავშირის ფინანსური ინტეგრაციის მიზნების, შედეგების და გამოწვევების შესახებ, ვიშგრადის ქვეყნების საფინანსო ინდუსტრიის ინსტიტუტების საქმიანობისა და რეგულირების თავისებურებებზე, ევროკავშირის ფინანსური</li> </ul>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>სტაბილურობის მექანიზმებზე.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროფესიული ტერმინოლოგიის მუშაობის პროცესში გამოყენების უნარი, პრეზენტაციებსა და დისკუსიებში მონაწილეობისა და ფინანსური ანალიზის დროს;</li> <li>✓ ფინანსური ინფორმაციის იდენტიფიცირების უნარი. ამ ინფორმაციის გამოყენებით ფინანსური უწყისების მომზადებისა და ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით მათი ანალიზის უნარი;</li> <li>✓ ფინანსური მონაცემების, მათ შორის კორპორაციის ფინანსური დოკუმენტების (მ.შ. ანგარიშების) ინტერპრეტაცია და ანალიზი;</li> <li>✓ საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსურ აქტივებზე ფასების ცვლილებების ანალიზი;</li> <li>✓ ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის (საბირჟო კვოტირებების) ინტერპრეტაცია და ინფორმაციის ანალიზი;</li> <li>✓ საფინანსო პროექტების მართვის უნარი: საფინანსო და საინვესტიციო მიზნის ფორმულირება; მათი გადაწყვეტის შესაბამისი ამოცანების, გზებისა და შედეგების განსაზღვრა; ფინანსური ნაკადების დაგეგმვა და მართვა;</li> <li>✓ საფინანსო პრობლემის იდენტიფიცირებისა და დიაგნოსტიკის და მათ პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენების, მათი დასაბუთებისა და დაცვის უნარი;</li> <li>✓ ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი. გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირების უნარი;</li> <li>✓ რისკების შეფასება და კონტოლი.</li> </ul> <p><b>დასკვნის უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ თანმიმდევრული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი;</li> <li>✓ მონაცემთა მოპოვება, ინტერპრეტაცია, ანალიზი და სათანადო</li> </ul>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>დასკვნების გაკეთება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა;</li> <li>✓ ანალიტიკური მასალების მომზადება;</li> <li>✓ პოზიციის არგუმენტირება, დაცვა და სხვა.</li> </ul> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროფესიონალურ დონეზე კომუნიკაციის დამყარების უნარი;</li> <li>✓ საკუთარი მოსაზრებისა და პოზიციის გარკვევით და მკაფიოდ ფორმულირების და სხვებისთვის გაზიარების უნარი; სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>✓ დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრის წარმართვის უნარი. სხვადასხვა თემებზე პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მკაფიოდ და დეტალურად საუბრის, გარკვეული აქტუალური საკითხებისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>✓ პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან დისკუსიის წარმართვის უნარი, დებატებში მონაწილეობისას პირადი პოზიციისა და მოსაზრების არგუმენტირებულად ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარი, საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი;</li> <li>✓ სტუდენტს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული და კვლევითი სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტების შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;</li> <li>✓ შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე</li> </ul>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება;</li> <li>✓ შეუძლია წერილობით ინგლისურ ენაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.</li> </ul> <p><b>სწავლის უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვის უნარი, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენის უნარი;</li> <li>✓ ლიტერატურის დამოუკიდებლად გამოყენებით ცოდნის გაღრმავების, დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;</li> <li>✓ მიღებული ცოდნის შემდგომი გაღრმავების უნარი ცხოვრებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში საჭიროების შესაბამისად;</li> <li>✓ პროფესიულ სივრცეში არსებული გამოცდილების ათვისებისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;</li> <li>✓ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენისა და არსებული რესურსების გამოყენებით პროფესიულად შემდგომი განვითარების უნარი;</li> <li>✓ გააგრძელოს სწავლა სამაგისტრო პროგრამებში, ბიზნესის ან სხვა მიმართულებით, მათ შორის უცხოეთში;</li> <li>✓ იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა, დისკუსიაში მონაწილეობა, საქმიანი დოკუმენტის შედგენა საფინანსო ტერმინოლოგიის გამოყენებით;</li> <li>✓ სტუდენტი იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან,</li> </ul>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.</p> <p><b>ღირებულებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ სფეროსთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი და მიღებული ცოდნის გაღრმავების სურვილი;</li> <li>✓ ეთიკური ღირებულებების დამკვიდრების სურვილი. ორგანიზაციასა და საზოგადოებაში ეთიკური და კორპორაციული პასუხისმგებლობის როლის გაცნობიერების შედეგად ჩამოყალიბებული იმ ეთიკური საკითხებისა და პრობლემების ამოცნობის, გაანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს სხვადასხვა ინსტიტუტებში ფინანსური საქმიანობის პროცესში;</li> <li>✓ აკადემიური და პროფესიული პატიოსნების პრინციპების დაცვის სურვილი;</li> <li>✓ პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა;</li> <li>✓ მონაწილეობს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურული პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში, და საზოგადოებაში;</li> <li>✓ შეუძლია მონაწილეობა პროფესიულ მოლაპარაკებაში, კონფლიქტების მოგვარებაში, ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში. ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას. ამკვიდრებს კორპორაციული სოციალურ პასუხისმგებლობის პრინციპებს და დარგობრივი ეთიკის ნორმებს. მონაწილეობს კორპორაციული მართვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, საერთაშორისო სააღრიცხვო და საანგარიშგებო სტანდარტების, ინვესტორებთან ურთიერთობების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებაში. აღიარებს საფინანსო სექტორის საქმიანობისა და რეგულირების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და ცდილობს მათ დანერგვას, რეალური პირობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.</li> </ul>
<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მუ-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;</li> <li>2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;</li> <li>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;</li> <li>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;</li> <li>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.</li> </ol> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ol> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</li> <li>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51</li> </ol>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge





## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.</p> <p>შეფასების საშუალებები შემდეგია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა;</li> <li>✓ საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;</li> <li>✓ საშინაო დავალება;</li> <li>✓ დისკუსია;</li> <li>✓ ზეპირი გამოკითხვა;</li> <li>✓ წერითი გამოკითხვა;</li> <li>✓ ესე;</li> <li>✓ სემინარი;</li> <li>✓ პრეზენტაცია;</li> <li>✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;</li> <li>✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდა.</li> </ul> <p>შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა.</p>
დასაქმების სფერო	-